



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/85

ქ. თბილისი


27 დეკემბერი 2018 წ.

სტუ-ის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 21 დეკემბრის №05-01/73 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/15 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ მოწონებული (2018 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №01-05-04/377) 2019 წლის ნაერთი ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით;
2. მიეცეს უფლება სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნაერთი ბიუჯეტის 7% ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს წარმოდგენილი ბიუჯეტის კორექტირება;
3. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად მოქმედი ბიუჯეტის მართვის სისტემა არ აღმოჩნდა ეფექტური, წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) მიზანშეწონილად ჩათვალა, ბიუჯეტის ეფექტურად და რაციონალურად მართვის მიზნით, თხოვოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ცენტრალიზებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტის წესის შემუშავება და დანერგვა. ამასთან, დაინტერესებულ სუბიექტებთან შეთანხმების საფუძველზე შექმნას შესაბამისი ნორმატიული ბაზა;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბაშვილი